ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.03.2013 №56

თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 15 მარტის №01-15/47 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2013 წლის 19 მარტს და დასრულდეს 2013 წლის 18 აპრილს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში (მის: ჭავჭავაძის გამზ.№60, IV სართული, ოთახი №423 ტელ: 2 22-74-01), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2013 წლის 19 აპრილს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტემენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. **ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით აგრომელიორატორი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

2. **ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

3. **გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით გარემოს ქიმია და კონტროლი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ჰიდრომელიორატორი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

4. **მელიორაციული სისტემების დაპროექტების და ექსპერტიზის განყოფილება**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ჰიდრგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);

5. **კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის გამგე**
   - მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით აგრონომი (მაგისტრის, დოქტორანტის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომების ასლი;
ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.

ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია).